N 03/400
20/05/2022

400-03-2-202205201649
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსს
ბატონ ჯაბა სურმანიძეს

ბატონო ჯაბა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან 06/05/2022წ. N2760/02 კორესპონდენციით, სამინისტროში გადმოგზავნილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების“ პეტიციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო მიესალმება ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას და ქალი ფერმერების/მეწარმეების ჩართულობას პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების პროცესში. აღნიშნულს ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ პროგრამების/ ქვეპროგრამების ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმების განსაზღვრისას რიგ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭებოდათ ქალ ბენეფიციარებს.

ამასთან, სამინისტროს მიერ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში 2015-2021 წლებში ქალ ბენეფიციარებზე გადაცემული იქნა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი, მათ შორის:

- ქვეპროგრამის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა ფარგლებში თანადაფინანსებით 182 ქალ ფერმერს გადაეცა სხვადასხვა სახის მცირე ტექნიკური საშუალება, ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში 116 ქალ ფერმერს გადაეცა ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატი;
- ქვეპროგრამის „სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში - 39 ქალ ფერმერს გადაეცა სათბური;
- ქვეპროგრამის „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა ფერმერულ მეურნეობებში“ ფარგლებში - 166 ქალ ფერმერს დაუფინანსდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენება;
- ქვეპროგრამის „რძის გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში - 260 ქალ ფერმერს გადაეცა რძის მექანიკური სეპარატორი;

- ქვეპროგრამის „ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში - 16 ქალ ფერმერს გადაეცა ხილის საშრობი აპარატი;

- ქვეპროგრამის „თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში - 12 ქალ ფერმერს გადაეცა თაფლის საწური აპარატი;

- ქვეპროგრამის „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა“ ფარგლებში - 6 ქალ ფერმერს გადაეცა ავტოკლავ-სტერილიზატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შერჩეული იქნა და დაფინანსდა 39 ქალი ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ - ,,აგროსერვის ცენტრი“ 2 წელია ახორციელებს პროგრამას „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება, ახალი საწარმოების შექმნა. პროგრამის მიზნებისთვის, ბენეფიციართა შერჩევის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება ქალთა მიერ წარმოდგენილ პროექტებს. 2020-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ქალ ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი 10 (ათი) პროექტი.

პატივისცემით,

ვახტანგ წულაძე

მინისტრი - მ.შ.